ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7877094

ნომერი: AR11135407

თარიღი : 25.03.2026

გაცემის თარიღი : 08.04.2026

გაცნობის თარიღი : 08.04.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დადეგაშვილი პ/ნ 24001041961
- თბილისი, ვეფხისტყაოსნის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2026 წლის 25 მარტს №AR11135407 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 23 დეკემბრის №6261181 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2026 წლის 30 მარტის №7864167 ბრძანებითა და 2026

წლის 2 აპრილის №7869404, 2026 წლის 3 აპრილის №7870690 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული ხარვეზები, კერძოდ, წარმოდგენილი +3.50 ნიშნულის გეგმიდან ისევ არასწორად არის წაშლილი „ა-დ“, „3-1“ ღერძებში მდებარე 127.7 კვ.მ. და „10-11“ ღერძებში მდებარე 32.5 კვ.მ. საზაფხულო ფართობები, რაც დაუშებელია. საჭიროა მოყვანილ იქნეს შეთანხმებულ ამავე ნიშნულის გეგმასთან შესაბამისობაში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ გასწორებულ +30.10 ნიშნულის გეგმასთან ერთად სხვა დოკუმენტაციის, მათ შორის შეცვლილი +3.50 ნიშნულის გეგმის წარმოდგენა საჭირო არ არის.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2026 წლის 25 მარტის №AR11135407 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.